პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 17 (5047)

1974 წ. 24 იანვარი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ ფიზიკურ კულტურათა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„მთები და ადამიანები"

ამ დღეებში ჟიურიმ შეაჯამა შედეგები საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციის საერთაშორისო ტრადიციული ფოტოკინოკონკურსისა „მთები და ადამიანები". ეს გამოფენა, რომელიც საბჭოთა მთამსვლელობის 50 წლისთავს მიეძღვნა, ძალიან მოეწონათ ოქტომბერში თბილისში ჩატარებული ალპინიზმის საიუბილეო საკავშირო პლენუმისა და მთამსვლელთა საერთაშორისო ასამბლეის მონაწილეებს.

წარმოდგენილი იყო ფოტო- და კინომოყვარულთა 400 ნამუშევარი. კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც საბჭოთა ფოტო- და კინომოყვარულები, ვილნიუსის, ლენინგრადის, მოსკოვის, რიგის, ტირნაიუზის, სოხუმის, თბილისის, ჭუთაისის, ფრუნზეს, ტაშკენტის, ალმა-ათის, ერევნის, სუმგაითის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, გუდაუთის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები, ისე უცხოელები. განსაკუთრებით ბევრი ნამუშევარი გამოგვიგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან: ბერლინიდან, დრეზდენიდან, ვაიმარიდან, აგრეთვე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ამ საინტერესო ღონისძიებაში ისევ მიიღეს მონაწილეობა განვლილი კონკურსების პრიზიორებმა, აგრეთვე, ვარშავის, პოზნანისა და სხვა ქალაქების ფოტომოყვარულმა მთამსვლელებმა.

გამოფენის დამთვალიერებლებმა და ჟიურის წევრებმა კვლავ იხილეს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ტატრების, ალპების და სხვა მთიანი სისტემების ულამაზესი და ურთულესი მწვერვალები, ადამიანები, რომლებიც მთასთან ჭიდილში გამარჯვებულნი გამოდიან; იხილეს მთის ქოხები, ალპური ყვავილები, ყინულვარდნილები, მაღალმთიანი სოფლები და სხვა, რითაც ასე მდიდარია მთამსვლელობის რომანტიკა. გამოფენილ სურათებში იგრძნობოდა ის დიდი სულიერი და ფიზიკური დაძაბულობა, რისი გადატანაც თითქმის მუდამ უხდება მთამსვლელს ურთულესი მონაკვეთების გადალახვისას. ბევრი ნამუშევარი ეძღვნებოდათ მეკლდეურებს — მთამსვლელობის ერთერთი ულამაზესი და პოპულარული სახეობის წარმომადგენლებს.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. მარი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი ვ. სიხარულიძე, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" საინფორმაციო განყოფილების გამგე ვ. ხარაზოვი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი, მთამსვლელი ლ. მესხიშვილი. ჟიურის თავმჯდომარე იყო საქინფორმის ფოტოინფორმაციის განყოფილების მთავარი რედაქტორი ო. თურქია.

ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი პრემიები მიეკუთვნათ:

ბ. რენერს (ვაიმარი, გდრ) ფოტოსურათებისთვის: „იურგენის ნახტომი", „უკანასკნელი ნაბიჯები", „ფირნის ველი" და სხვ.; სსრ კავშირის სპორტის ოსტატს, ალმაათელ ინჟინერს **ვ. სიდელნიკოვს** ფოტოსერიისთვის: „საღამოს ფიქრები", „მთების რომანტიკა", „გზა მწვერვალისკენ", „ორთაბრძოლა", „შტურმის წინ" და სხვ.; სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატს **ლ. ღლონტს** ფოტოებისთვის: „მყინვარწვერი". „ჩემს წინ უშბაა" და სხვ.; **ჯ. ოლეპს** (ვარშავა) სერიისთვის: „ყინვარის თვალი", „მწვერვალისკენ", „პამირის მწვერვალებზე" და სხვ.

მეორე პრემიები მიეკუთვნათ: პირველთანრიგოსან მთამსვლელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკს **ბ. როსტომაშვილს** ფოტოებისთვის: „მთის ლანდები", „ხევსურეთი", „პამირის ჩანახატები" და სხვ.; ვილნიუსელ ინჟინერს **პ. აუბუნასს** სურათებისთვის: „მთამსვლელი გოგონას პორტრეტი", „მოულოდნელი თოვლი", „ტივი", „მდუმარება" და სხვ.; ოდესელ 70 წლის ინჟინერს **ვ. შულგას** ფოტოსერიებისთვის: „შატილი", „ვარძიის ქვაბულები"; თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტს **შ. ბერიძლიშვილს** სურათისთვის „ნახტომი"; სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკს **ა. დოროშენკოს** ფოტორეპორტაჟისთვის: „უშგული", „ყინულის ქვაბული", „ორი ბედი" და სხვ.

მესამე პრემიები მიეკუთვნათ: სპორტის ოსტატს, სუმგაითელ (აზერბაიჯანი) ინჟინერს **ბ. ვირონოვს** ფოტოებისთვის: „უშბის უნაგირაზე", „დროშები შხელდის მწვერვალებზე", „კლდოვან მარშრუტზე" და სხვ.

ბერლინელ მთამსვლელს **დ. შვარცბახს** სურათებისთვის: „კავკასიონი", „ბეედუხი" და სხვ.; ყირგიზეთის სსრ კინოს სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორს **ე. კობლოვს** და კორესპონდენტ **ბ. შუმენკოს** ფოტომოთხრობისთვის „მაღალ მწვერვალთა სამფლობელო"; ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს **ვ. აგოპსოვიჩს** ფოტოსერიისთვის „მთები და ადამიანები"; ლენინგრადელ ე. ვიკულანს ფოტოებისთვის: „წინ ხან-თენგრია", „ყირიმის მთებში", „მწვანე სასტუმრო" და სხვ.

მეოთხე პრემიები მიიღეს: ბერლინელმა **ე. აპელმა** სურათებისთვის: „ჩეგეთი", „იალბუზი" და სხვ.; ტაშკენტელმა **ბ. რუდაკოვმა** სურათებისთვის: „ედელვაისი", „მთის ზღაპარი", „გვირილები"; **ვ. კორჩაგინმა** (სოხუმის ფოტოკლუბი) სურათებისთვის: „საღამოვდება". „ახალგაზრდა ხერგიანები", „მთის ტბა"; ერევნელმა **ბ. სარუხიანმა** სურათებისთვის: „ვანვახი", „გზები, რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ", „რომანტიკოსები" და სხვ.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 200-მდე ფერადი დიაფილმი. აქედან დიდი პრიზი მიეკუთვნა **ვ. სიდელნიკოვს** (ალმა-ათა) სერიებისთვის: „მთის ყვავილები", „კავკასიონის მწვერვალები", „პამირის მწვერვალები" და სხვ.

პირველი პრემია მიეკუთვნა სსრ კავშირის სპორტის ოსტატს **მ. ჭიჭინაძეს** (ქუთაისი) ნამუშევრისთვის „იალბუზის მიდამოები"; მეორე პრემია — **ნ. რაზმაძეს** ნამუშევრისთვის „დაღესტანი"; მესამე პრემია — ლენინგრადელ **ბ. კაშევნიკს**; მეოთხე — მოსკოველ **ა. კარაბუტოვს**.

კინოფილმებისთვის პრემიები შემდეგნაირად განაწილდა:

პირველი პრემია მიეკუთვნა **ა. ჟლენტს** თედო რაზიკაშვილის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმისთვის „მონადირე" (35 მმ);

მეორე პრემია—რიგელ **კ. ტომარინს** ფილმისთვის „ადამიანები და კლდეები" (16 მმ).

საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციის სპეციალური პრიზი მიეკუთვნა დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების რესპუბლიკური სტუდიის ნამუშევარს „შევისწავლოთ მშობლიური მხარე" (35 მმ. ოპერატორი გ. ლეკვეიშვილი).

აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის VI-VII კლასების მოსწავლეები ირაკლი როსტომაშვილი და გიორგი ყვავილაშვილი, რომელთაც წარმოადგინეს ტურისტული ლაშქრობის დროს გადაღებული ფოტოსურათები. სურათებზე აღბეჭდილი იყო საველე ცხოვრების მომენტები, ნიკორწმინდის ტაძარი და სხვ. ამ ნამუშევრებისთვის მოსწავლეებმა წამახალისებელი პრემია მიიღეს.

ასევე საინტერესო იყო გუდაუთის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მიერ წარმოდგენილი დიაფილმები, რომლებიც ეძღვნებოდა ამ ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეთა ლაშქრობას აფხაზეთის ქედზე (ხელმძღვანელი დ. კვარაცხელია).

ამ დიაფილმებსაც წამახალისებელი პრემია მიეკუთვნა.

შემდეგისთვის მოეწყობა ცალკეულ მთამსვლელ ფოტომოყვარულთა პერსონალური გამოფენებიც.

დ. გოზალიშვილი.

• • •

აქ და ჩვენი გაზეთის მომდევნო გვერდებზე ვაქვეყნებთ კონკურსში პრემირებულ ნაწარმოებებს.



„ფირნის ველი". გ. რენერი (გდრ).

რუდნოვა და გომოზკოვი — რუმინეთის ჩემპიონები

ბუქარესტი, 23 იანვარი. აქ გაიმართა რუმინეთის დიდ ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. შერეულ წყვილთა შეჯიბრების ფინალში გავიდა ორი საბჭოთა დუეტი: ზ. რუდნოვა — ს. გომოზკოვი და ე. ანტონიანი — ს. სარხოიანი. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს რუდნოვამ და გომოზკოვმა, რომლებიც რუმინეთის ჩემპიონები გახდნენ.

ქალთა წყვილების შეჯიბრებაში რუდნოვამ და ანტონიანმა მარცხი იწვნიეს მსოფლიო ჩემპიონებთან მ. ალექსანდრესთან (რუმინეთი) და მ. ხამადასთან (იაპონია) — 1:3. ვაჟთა ერთეულების ფინალური შეხვედრა მოიგო იაპონელმა ი. იმანომ, რომელმაც ანგარიშით 3:1 დაამარცხა საბჭოთა სპორტსმენი ა. სტოკატოვი. იაპონელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე, ქალთა ერთეულებში (ხამადა) და ვაჟთა წყვილებში (შ. იტო და იმანო).

მაგიდის ჩოგბურთი

საბჭოთა დუეტების წარმატება

ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში ჩატარდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის რ. კულონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ბულგარელ, ესპანელ, პოლონელ, იტალიელ, დასავლეთგერმანელ და ადგილობრივ ათლეტებთან ერთად სარბიელზე გამოდიოდნენ საბჭოთა მოჭიდაველებიც.

თავისუფალი სტილის მოჭიდაველთა ტურნირში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა საბჭოთა ათლეტების დუეტმა. მახარყალელი ვ. იუმინი (57 კგ) II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონის, ირანელი ფარახფაშას შემდეგ. II ადგილი ერგო იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონს, გროზნოელ ხ. ორციევსაც (90 კგ). მან ფრედ დაამთავრა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატის ჯერცხლის პრიზიორთან, რუმინელ ვ. იორგესთან, რომელიც შემდეგ კულონის მემორიალის ლაურეატი გახდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ათლეტების წარმატება „კლასიკოსთა" ასპარეზობაში აქ საბჭოთა ქვეყნის დუეტმა ორი პირველი პრიზი მიიღო: ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ტაშკენტელმა რ. კაზაკოვმა ყველას აჯობა 57 კგ წონითს კატეგორიაში, ხოლო მინსკელი მსოფლიო ჩემპიონი ლ. ლიბერმანი უძლიერესი იყო 82 კგ წონის ათლეტთა შორის.

მეორე წრე დაიწყო

22 იანვრის მატჩებით მოსკოვსა და სოჭში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. ტურნირის ეს ნახევარი ტარდება ახალი წესებით, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომისიამ დაამტკიცა. სიახლე შემდეგში მდგომარეობს: თუ ერთ-ერთმა გუნდმა ტაიმის მანძილზე 10 პერსონალური ან ტექნიკური შენიშვნა მიიღო, ყოველი მომდევნო დარღვევისთვის საჯარიმო სროლა ინიშნება. ეს წესი ვრცელდება დამოუკიდებლად თითოეულ ტაიმზე.

სოჭის ჯგუფში ყურადღებას იპყრობს სსრ კავშირის 14-გზის ჩემპიონისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 13-გზის მფლობელის რიგის ტტტ-ს თამაში. საქმე ისაა, რომ ეს კოლექტივი წლეულს ძალიან სუსტად თამაშობს და სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარშია. რიგელთა წარუმატებლობას სპეციალისტები ცენტრალური თავდამსხმელის სემიონოვას ავადმყოფობით ხსნიან და ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ტტტ-მ, რომელსაც წლების მანძილზე ჰყავდა ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელები (სმოლქინია, კროდერე, სემიონოვა), როგორც ჩანს, დაივიწყა ანბანური ჭეშმარიტება, რომ გუნდმა მთელი სიმძიმე ერთეულებზე არ უნდა გადაიტანოს, ვინაიდან კალათბურთი კოლექტიური თამაშია, კოლექტივის შემოქმედებითი უნარისა და აქტივობის ნაყოფი.

ერთი სიტყვით, ტტტ ახლა „პასუხს აგებს" იმ შეცდომებისთვის, რასაც თურმე წლების მანძილზე უშვებდა.

გუშინწინ მან, როგორც იქნა, კიდევ ერთი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ამ გამარჯვებას დიდი ფასი არა აქვს, ვინაიდან ტტტ-ს მიერ დამარცხებული გუნდი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი") თვითონ უარეს დღეშია და, კაცმა არ იცის, დარჩება თუ არა ჯგუფში. ლატვიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 61:50 (30:24).

კიევის „დინამომ" იოლად მოუგო ფრუნზეს „სტროიტელს" — 86:63 (40:33). მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" კი დაამარცხა მოსკოველი თანაკლუბელები — 76:64 (40:24).

დამაჯერებლად მიიწევს წინ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ლენინგრადის „სპარტაკი", რომელიც მოსკოვის ჯგუფში თამაშობს. გუშინწინ მან სატურნირო ცხრილში ძორიგი, მე-11 ქულა ჩაიწერა ვილნიუსის „კიბირკშტისთან" გამარჯვებით — 85:59 (47:33). როგორც ჩანს, ლენინგრადის „სპარტაკი" დღესდღეობით ქალთა კალათბურთში ყველაზე სტაბილური, ძლიერი და ღირსეული გუნდია, რომელსაც ოქროს მედლებისთვის ბრძოლის ძალა შესწევს.

მეტად დაძაბული გამოდგა სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და ალმა-ათის „ბურევესტნიკის" ბრძოლა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთმა ზუსტმა სროლამ ბოლო წუთზე. გაიმარჯვა „ურალმაშმა"—79:77 (44:36). მოსკოვის „დინამომ" შედარებით იოლად დააყრევინა ფარ-ჩაღალი „სერპ ი მოლოტს" — 86:63, თუმცა პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერც კი გამოავლინა — 32:32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

ზრუნვას საქმით ვუპასუხებთ

„ინტერვიუ"

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს აგალებს კიდევ უფრო ენერგიულად, კიდევ უფრო მეტი შემართებით იშრომონ, რათა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები ვადამდე შეასრულონ. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭებათ ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც, რომელთა მთავარი საზრუნავიც მშრომელთა გაჯანსაღება და ფიზიკური წრთობაა. როგორაა ამ მხრივ საქმე ჩვენს რესპუბლიკაში?

ამბროლაურის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვაჩაძე.

— ფიზკულტურა და სპორტი სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ამბროლაურის რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში. 78 ფიზკულტურულ კოლექტივში 4500-მდე კაცია გაერთიანებული. შარშან ცუდად არ გვიმუშავია: გეგმის გადაჭარბებით მოვამზადეთ 1 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 3 პირველთანრიგოსანი სპორტსმენი. სხვა თანრიგების ნორმატივები 1235 კაცმა შეასრულა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რაიონული ცენტრის, სადმელის, ჭრებალოს, ზნაკვის, ბუგეულის საშუალო და წესის რვაწლიანი სკოლების კოლექტივებმა, რასაც ხელი შეუწყო შედარებით კარგმა სპორტულმა ბაზებმაც.

ურავის მეტალურგიული კომბინატი სისტემატურად მონაწილეობს რაიონულ შეჯიბრებებში და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებსაც ასრულებს. ამ კოლექტივზე განსაკუთრებით იმიტომ შევჩერდით, რომ აქ ყველა შესაძლებლობა გამოყენებული ჯერ კიდევ არ არის. კომბინატის დირექცია (დირექტორი ლევან გელოვანი) და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო სპორტული ბაზების მოწყობისთვისაც რომ ზრუნავდნენ, ურაველებს რაიონში ბადალი არ ეყოლებოდათ.

რაიონში გვაქვს 15 ფეხბურთის მინდორი, 34 კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, საჰიდაო დარბაზი, რამდენიმე სასკოლო სპორტული დარბაზი. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა, მით უმეტეს, რომ ამ ბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი კეთილმოწყობილიც არ არის.

იმის გამო, რომ რაიონში საცურაო აუზი, სტადიონი და მძლეოსნური ბაზა არა გვაქვს, ძალიან ძნელდება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რომ 1100-ის მაგიერ 811 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი მოვამზადეთ ცურვაში, ნორმატივები ზაფხულში ხალხს საგუბარებში ჩავაბარებინეთ.

რაიონს ცენტრში კარგი სტადიონი ჰქონდათ, მაგრამ 1967 წელს იმ ადგილზე საშუალო სკოლა აშენდა, სამაგიერო ტერიტორიის გამოყოფისა და მინდვრის მოწყობისთვის კი რაიონში აღარ უზრუნიათ.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს არავითარი სპორტული ბაზა არა აქვს. საჭადრაკო კლუბი, რომელიც ამ ექვსი წლის წინათ გაიხსნა, უკვე ხელახლა ასაშენებელია

„ყინვაარწვერი". ლ. ლლონტი (თბილისი).

— ჭერიდან წვიმა ჩამოდის, იატაკი დალპა. რაიონის ხელმძღვანელობამ ერთხანს კლუბის ადგილზე საპარიკმახეროს გახსნა მოინდომა. მაგრამ ფიზკულტურის კომიტეტის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა. ახლა ამ შენობის შესაკეთებლად სახსრებს აღარ იმეტებენ.

როგორ ამარაგებენ რაიონს სპორტინვენტარით? ამ კითხვაზე ა. ვაჩაძემ ასე გვიპასუხა:

— რაიკავშირს სარეალიზაციოდ მეტად უხარისხო ინვენტარი შემოაქვს. მხოლოდ ესაა მიზეზი, რომ შედარებით უკეთესი სათხილამურო ინვენტარის შესაძენად ბაკურიანში წასვლა გვიხდება. სხვა ინვენტარი უმეტესად თბილისიდან ან ქუთაისიდან მოგვაქვს, მაგრამ ხშირად ვერც იქ ვშოულობთ. ამ მხრივ რაიონებს რესპუბლიკის სპორტკომიტეტი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს, მაშინ მაინც, როცა დიდი ღონისძიებისთვის ვემზადებით. რაიონებს ინვენტარი მოთხოვნების მიხედვით უნდა გაუნაწილდეთ. თუმცა სპორტკომიტეტის მუშაკებს ვერ დავემდურებით: ინვენტარზე განაცხადს ყოველწლიურად გვთხოვენ, რათა შემდეგ ამის საფუძველზე საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებს სათანადო მოთხოვნა წარუდგინონ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ინვენტარს რატომღაც არასოდეს არ გვაძლევენ.

ა. ვაჩაძეს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით ეთქვა, როგორ ემზადებიან ამბროლაურელი სპორტსმენები საქართველოს ზამთრის სპარტაკიადისთვის.

— ამბროლაური მთიანი რაიონია და თოვლი ხანგრძლივად დევს. პირობები და ხელშეწყობა რომ გვქონდეს, ჩვენს რაიონში კარგი მორბენლებისა და ტრამპლინიდან მხტომელების აღზრდა შეიძლება. ათი წლის წინათ „კოლმეურნეს" ნიკოლწმინდაში 25-მეტრიანი ტრამპლინის შენებლობა დაიწყო. ზოგი რამ გაკეთდა კიდეც, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მისულა.

წლევანდელი ზამთრის რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად რამდენიმე შეჯიბრება ჩავატარეთ. ბაკურიანში გუნდებს ყველა სახეობაში გამოვიყვანთ, რომლებსაც მეორე ჯგუფის პროგრამა ითვალისწინებს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის დებულების შემდგენლებს ერთგვარი უზუსტობა მოუვიდათ, როცა მეორე ჯგუფის გუნდების შეჯიბრებათა პროგრამაში 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა და 50 კილომეტრზე რბოლა შეიტანეს. მეორე ჯგუფის გუნდების ვერც ერთი სპორტსმენი 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ვერ გადახტება, ვინაიდან ადგილებზე საკარჯიშოდ 25-მეტრიანი ტრამპლინებიც კი არა აქვთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში ცვლილებები მოხდა, რაც ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისთვის ბრძოლასაც ხელს შეუწყობს. ამის პირველი ნიშნები უკვე იგრძნობა. მაგალითად, ამას წინათ რაიონში განვიხილეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისთვის დაისახა ღონისძიება, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასაც ითვალისწინებს. მაგალითად, ზამთრის სპორტინვენტარის შესაძენად უკვე საგრძნობი თანხა გამოგვიყვეს.

იმედი გვაქვს, რაიონის ახალი ხელმძღვანელობის ზრუნვა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის შემდეგშიც გაგრძელდება, რასაც ჩვენ, ფიზკულტურული მუშაკები და სპორტსმენები თავდაუზოგავი შრომით ვუპასუხებთ.

საქართველოს რეკორდები

მშვილდოსნობა 1974 წლის 24 იანვრისთვის

დისტანცია	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ქალები			
8—1 ვარჯიში			
30 მ	336	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1972
50 მ	310	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1971
60 მ	315	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
70 მ	307	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	1242	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
გუნდური	3479	საქართველოს ნაკრები (ქ. ლოსაბერიძე, ლ. ასატუროვა, გ. რიეამაძე)	1972
8—2 ვარჯიში			
30 მ	667	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
50 მ	598	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
60 მ	616	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
70 მ	584	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	2465	ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურ.")	1973
გუნდური	6536	საქართველოს ნაკრები (ქ. ლოსაბერიძე, ლ. ასატუროვა, გ. რიეამაძე)	1971
ვაჟები			
8—1 ვარჯიში			
30 მ	340	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
50 მ	302	გ. გორდეზიანი (თბილისი, „ბურ.")	1973
70 მ	293	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1972
90 მ	265	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	1177	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
გუნდური	3343	თბილისის ნაკრები (გ. არჩვაძე, ვ. ტროპინი, ა. მეეევიძე)	1973
8—2 ვარჯიში			
30 მ	671	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
50 მ	560	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
70 მ	575	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
90 მ	502	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	2328	გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტ.")	1973
გუნდური	6685	თბილისის ნაკრები (გ. არჩვაძე, გ. ტროპინი, ა. მეეევიძე)	1973
გოგონები			
8—1 ვარჯიში			
30 მ	329	ც. სუმბაძე (თბილისი, „ლოკომოტ.")	1972
50 მ	292	ც. სუმბაძე (თბილისი, „ლოკომოტ.")	1972
60 მ	303	ც. სუმბაძე (თბილისი, „ლოკომოტ.")	1972
70 მ	282	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	1178	ც. სუმბაძე (თბილისი, „ლოკომოტ.")	1972
გუნდური	3060	საწყისი ნორმატივი	
8—2 ვარჯიში			
30 მ	650	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
50 მ	555	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
60 მ	544	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
70 მ	512	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	2261	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „ლოკ.")	1973
გუნდური	6300	საწყისი ნორმატივი	
ჭაბუკები			
8—1 ვარჯიში			
30 მ	323	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
50 მ	282	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
70 მ	290	დ. ბაძრაძე (ქუთაისი, „ბურევესტ.")	1972
90 მ	256	დ. ბაძრაძე (ქუთაისი, „ბურევესტ.")	1972
ოთხი დისტანციის ჯამში	1144	დ. ბაძრაძე (ქუთაისი, „ბურევესტ.")	1972
გუნდური	3100	საწყისი ნორმატივი	
8—2 ვარჯიში			
30 მ	639	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
50 მ	558	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
70 მ	533	ბ. გორდეზიანი (თბ., „ლოკომოტ.")	1972
90 მ	441	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
ოთხი დისტანციის ჯამში	2148	ა. მეეევიძე (თბილისი, „დინამო")	1973
გუნდური	6300	საწყისი ნორმატივი	

რაიონული სპორტიდან

ხაშური

რაიონის თასის გათამაშება კალათბურთელ ვაჟთა შორის საელმავლო დეპოს გუნდმა მოიგო. II ადგილი დაიკავეს სავაგონო დეპოს წარმომადგენლებმა, ხოლო III — განათლების პროფკავშირის რაიონული კომიტეტის სპორტსმენებმა.

ზ. მოსეშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროლავათო ბრძოლაში

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში რომ დამთავრდა, ჭეშმარიტად საინტერესო შეჯიბრება გახლდათ. ამიტომაც ჭადრაკის სასახლე მუდამ სავსე იყო მაყურებლებით. რა თქმა უნდა, ესოდენ დიდი ინტერესი შეჯიბრებაში სახელგანთქმული მოჭადრაკეების მონაწილეობამაც განაპირობა.

ის, რომ ტურნირს მხოლოდ ჩემპიონი უნდა დაესახელებინა, ხელს უწყობდა უფროლავათო ბრძოლას. მოჭადრაკეებმა, შეიძლება ითქვას, მთლიანად გამოიყენეს შემოქმედებითი ბრძოლისთვის შექმნილი საუცხოო პირობები. ამ ბრძოლაში მათ სრულად გამოავლინეს თავიანთი ნიჭი, მიდრეკილება, ინტერესები.

გულდასაწყვეტია, რომ ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ პრეტენდენტობის მაძიებელნი: ნ. ალექსანდრია, ნ. კოზლოვა და ი. ლევიტინა. 16 თებერვალს კისლოვოდსკში სამივენი მ. შულთან ერთად შეუდგებიან ბრძოლას მატჩ-ტურნირში პრეტენდენტთა საგზურებისთვის, სწორედ ამიტომ ჩემპიონატში მონაწილეობა ყველამ მოუწონა შულს.

— ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებთან შეხვედრებმა დიდი სარგებლობა მომიტანა, — გვითხრა ლვოველმა მოჭადრაკემ.

შულმა დაამტკიცა, რომ მსოფლიო ჩემპიონის შერე პირველი მოჭადრაკეა, თუმცა სსრ კავშირის ჩემპიონი აღარ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მატჩ-ტურნირში გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

მონაწილეთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის გამოჩენამ (ბოლოს საკავშირო ჩემპიონატში მან 1964 წელს ითამაშა) შეჯიბრებას ეშხი და ლაზათი შემატა. ნონას გულით სურდა საბჭოთა მოჭადრაკეთა ტრადიციულ ფორუმში თამაში და ამიტომ ბევრ ტურნირზე უარი თქვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნონა სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, თუმცა ძალიან კი ააღელვა გულშემატკივრები. მისი თამაში ჩემპიონატში კარგ ზღაპარს ჰგავდა: გამარჯვების გზაზე ჩემპიონს ბევრი ფათერაკი და უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ გაუტეხელი სასიათისა და დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით მაინც თავისი გაიტანა.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ზოგიერთ პარტიაში ნონას წარუმატებლობის ანალიზს. ეს თავად ჩემპიონისა და მისი მწვრთნელის, დიდოსტატ ა. გიმსლისის საქმეა. ნონამ კი ასე ახსნა თავისი უთანაბრო თამაში: მე სექემბრისთვის ვემზადებოდი, ტურნირი კი დეკემბრისთვის გადაიტანეს და რიტმიდან ამოვვარდი. შეიძლება. სტარტის ცდაში საბრძოლო განწყობილებაც ერთგვარად გაუნელდა. ამიტომ თამაში თავიდან არ გამოუვიდა, ფინიშზე კი ყველა შეხვედრაში უდიდესი, შესაშური თავგამოდებით იბრძოდა.

თბილისში ბევრი გაკოცდილი თუ ახალგაზდა ნიჭიერი მოჭადრაკე თამაშობდა. მენორკის ტურნირის გმირმა ვ. კოზლოვსკაიამ, რომელიც ერთპიროვნულად ლიდერობდა შეჯიბრების პირველ ნახევარში, ყველა დაგვარწმუნა თავის ნიჭიერებაში. მხოლოდ დაღლილობით შეიძლება ავხსნათ შემდგომ შეხვედრებში მისი წარუმატებლობა. კარგად ითამაშა ვეტერანმა კ. ზვორიკინამ. სამაგიეროდ, თავის ქომაგებს გული დასწყვიტა ტ. ზატულოვსკაიამ, რომელიც თითქმის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

ახალგაზდებიდან საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინეს ა. გრინფელდმა, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, ნ. ალიოხინამ, ტ. შოროზოვამ და ტ. ფომინამ. ორიოდე წლის შემდეგ მათი სახით საუცხოო ოსტატები გვეყოლება.

ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო თბილისელი პიონერი მაია ჩიბურდანიძე. თვით ის ფაქტი, რომ ასეთი პატარა გოგონა მონაწილეობდა ესოდენ დიდ ტურნირში, ცოტას როდი ნიშნავს.

1973 წლის მანძილზე ჩიბურდანიძემ ბევრი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მაიამ საგრძნობლად აიმაღლა თამაშის კლასი, ეზიარა ჭადრაკის ბევრ საიდუმლოებას და საკუთარი ძალის რწმენაც გაუჩნდა. სწორედ ეს არის მისი შემდგომი წინსვლის საწინდარი.

ჩემპიონატის შეხვედრებში გამოჩნდა ჩიბურდანიძის დიდი ნიჭი, შეშოქმედებითი მისწრაფებები, ცოდნა, სასიათი და კარგი მომავალი.

მაია ძლიერია ტაქტიკურ ბრძოლაში. მას მახვილი საჭადრაკო თვალი აქვს და ვარიანტებსაც კარგად ანგარიშობს. ამის ნათელი დადასტურებაა გ. სტერნინასთან და ა. გრინფელდთან ლამაზად მოგებული პარტიები. გოგონას ენდშპილის თამაშიც უყვარს, თუმცა ამ მეცნიერულად შესწავლილი მოძღვრების ბევრი საიდუმლოება ჯერ არ იცის. ენდშპილის დაუფლებას წლები სჭირდება. მაიას კი სულ ახლახან შეუსრულდა 13 წელი. ჯერჯერობით მან არც დებიუტები იცის სათანადოდ. ზოგიერთ შეხვედრაში მაიამ კაროკანის დაცვა გამოიყენა, მანამდე კი მხოლოდ უფიმცევის დაცვას თამაშობდა. სადებიუტო რეპერტუარის სიღარიბე მეტოქეებს მაიასთან პარტიისთვის მომზადებას უადვილებდა. მაია სტრატეგიულ ბრძოლაშიც მოიკოჭლებს. გავიხსენოთ მისი პარტიები ზვორიკინასთან, ზატულოვსკაიასთან.

კარგია, რომ ნორჩი მოჭადრაკე ყველა შეხვედრაში მოგებისთვის იბრძვის. გრძნობებს იოლად არ ჰყვება, თამაშობს დარბაისლურად, დაკვირვებულად. ტყუილად არავის არაფერს შესწირავს, მისი ყველა ყაიმი დაუღალავი ბრძოლის ნაყოფია. ოღონდ მაიას უნდა შევახსენოთ, რომ უიმედო პოზიციაში თამაშის გაგრძელება მეტოქის მიმართ უპატივცემულობაა. მაგრამ მაია ჯერ კიდევ პაპაშია და ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი დროთა განმავლობაში, სისტემატური მეცადინეობით გამოსწორდება.



ნიჭიერ გოგონას ისე უყვარს ჭადრაკი, რომ დილიდან სალამამდე შეუძლია ითამაშოს. მაგრამ, ცხადია, პაპაშვი არ უნდა გადაიტვირთოს (შარშან მან 12 ტურნირში ითამაშა). ჩვენი აზრით კი, საჭიროა შეჯიბრებებში მისი მონაწილეობა უფრო გონივრულად დაიგეგმოს. სულ მალე, 1 თებერვალს მაია ჩიბურდანიძე მოსკოვში სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში (ოთხი პარტია) შეხვდება კ. ზვორიკინას.

ჩვენ აქ არაფერი ვთქვით ჩემპიონატის თეორიულ შედეგებზე, პარტიებსა და ენდშპილებზე, ყოველივე ამას სპეციალისტები შეისწავლიან.

თ. გიორგაძე.



„გზა მწვერვალისაკენ“. ვ. სიდელნიკოვი (ალმა-ათა).

საქართველოს 10 საუკეთესო

ცურვა

50-მეტრიანი აუზი

ვაქვეყნებთ საქართველოს 10 საუკეთესო ბოცურავის სიას. ათეულში სპორტსმენთა გვარის შემდეგ აღნიშნულია შედეგი, დაბადების წელი, ქალაქი და ორგანიზაცია.

ქალები

თავისუფალი სტილი. 100 მ. ლ. სუინა — 1.05,0 (1958 წ.) გაგრა, „განთიადი“; ი. მარგიშვილი—1.06,5 (57) თბილისი, „სპარტაკი“; ნ. გელაძე — 1.07,8 (58) თბილისი, „დინამო“; ი. ნოვოსელოვა — 1.07,9 (60) თბილისი, „შრომითი რეზერვები“; ე. შაგიდულოვა — 1.09,0 (57) თბილისი, „დინამო“; ვ. პროსკურინა — 1.09,6 (57) თბილისი, „განთიადი“; რ. მიქაძე — 1.09,9 (57) თბილისი, „დინამო“; ტ. გამჯიაშვილი — 1.10,0 (59) თბილისი, „დინამო“; ი. პოტაპოვა — 1.10,2 (61) თბილისი, განათლების განყოფილება; ზ. გოზალიანი — 1.11,0 (58) თბილისი, „დინამო“; ი. ბოგდანოვა — 1.11,0 (57) თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.09,2, 1973 წ. — 1.09,9.

200 მ. ლ. სუინა — 2.26,6; ვ. მარგიშვილი — 2.26,9; ი. პოტაპოვა — 2.27,6; ი. ნოვოსელოვა — 2.29,7; ნ. გეოკჩოღლიანი — 2.29,7 (59) თბილისი, „განთიადი“; ნ. გელაძე — 2.30,4; ნ. ბახტაძე — 2.32,5 (61) თბილისი, „დინამო“; ი. ბოგდანოვა — 2.32,8; ე. შაგიდულოვა — 2.33,2; ა. იაგლოვა — 2.33,4 (60) თბილისი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.35,6, 1973 წ. — 2.30,3.

400 მ. ლ. სუინა — 5.09,1; ი. პოტაპოვა — 5.09,8; ნ. გეოკჩოღლიანი — 5.10,8; ი. მარგიშვილი — 5.16,1; ტ. კოსტირევა — 5.19,3 (60), ქუთაისი, „განთიადი“; ნ. ნოვოსელოვა — 5.20,3; ნ. ბახტაძე — 5.21,5; ა. იაგლოვა — 5.25,1; ი. ბოგდანოვა — 5.27,0; ი. პროსკურინა — 5.27,3 (60), თბილისი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 5.26,2, 1973 წ. — 5.18,6;

800 მ. ი. პოტაპოვა — 10.30,3; ლ. სუინა — 10.30,7; ნ. გეოკჩოღლიანი — 10.39,7; ტ. კოსტირევა—10.48,3; ნ. ბახტაძე — 11.09,6; ი. მარგიშვილი — 11.09,7; ა. იაგლოვა — 11.11,1; ი. შოტი — 11.11,9 (59) ჭიათურა, „განთიადი“; ტ. გამჯიაშვილი — 11.13,5; ი. ნოვოსელოვა — 11.14,0.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 11.12,5, 1973 წ. — 10,51,0.

ბრასი. 100 მ. ი. გამჯიაშვილი— 1.23,0 (58) თბილისი, „დინამო“; ე. ვაპიროვა — 1.24,5 (57) ბათუმი, „დინამო“; ა. პურსანოვა — 1.25,8 (60) თბილისი, „განთიადი“; ვ. კირდიანოვა — 1.27,0 (58) თბილისი, „დინამო“; ო. გორბუნოვა — 1.27,0 (58) თბილისი, „განთიადი“; ე. ნიკიფოროვა — 1.27,5 (57) თბილისი, „ლოკომოტივი“; თ. ლაშქარაშვილი — 1.27,7 (60) თბილისი, „დინამო“; დ. ხორავა — 1.28,8 (60) ქუთაისი, „დინამო“; ნ. შეიანოვა — 1.28,9 (57) ბათუმი, „განთიადი“; ზ. ჩიგოგიძე — 1.29,5 (59) ბათუმი, „სპარტაკი“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.25,1, 1973 წ. — 1.27,0.

1973 წლის შედეგების მიხედვით

200 მ. ი. გამჯიაშვილი — 2.57,6; ზ. კირდიანოვა — 3.02,8; ე. ვაპიროვა — 3.05,0; ა. პურსანოვა — 3.05,7; ნ. შეიანოვა — 3.07,2; დ. ვასაძე — 3.07,2 (60) ქუთაისი, „განთიადი“; ზ. გამზინა — 3.07,4 (58) თბილისი, „განთიადი“; ო. გორგუნოვა — 3.07,5; თ. ლაშქარაშვილი — 3.08,0; ე. ნიკიფოროვა — 3.09,2.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 3.06,3, 1973 წ. — 3.05,8.

ბატერფლაი. 100 მ. ვ. პროსკურინა — 1.13,1; ლ. სუინა — 1.14,5; ლ. ნატროშვილი — 1.16,3 (58) თბილისი, „დინამო“; ტ. კოსტირევა — 1.17,8; რ. მიქაძე — 1.18,7; ი. ბაბაიანი — 1.18,8 (60) თბილისი, განათლების განყოფილება; ლ. კოროტკოვა — 1.19,0 (59) თბილისი, „დინამო“; ი. ბალაბანიანი — 1.19,4 (57) გაგრა, „განთიადი“; ზ. გამზინა — 1.20,7; ტ. გამჯიაშვილი — 1.21,8.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.20,2, 1973 წ. — 1.18,0.

200 მ. ვ. პროსკურინა — 2.41,0; ლ. ნატროშვილი — 2.54,5; ი. ბაბაიანი — 2.54,8; ტ. კოსტირევა — 2.58,5; ლ. კოროტკოვა — 2.59,9; ზ. გამზინა — 3.06,0; ი. გლოტოვა — 3.12,7 (61) თბილისი, „დინამო“; რ. მიქაძე — 3.14,8; ლ. ასლამაზოვა — 3.24,4 (60) თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 3.01,2, 1973 წ. — 3.08,6.

ბუსაღმა. 100 მ. ზ. გოზალიანი — 1.13,4; ლ. სუინა — 1.13,7; ზ. ნათლიაშვილი — 1.14,3 (60) თბილისი, „დინამო“; ვ. გრიგორაშჩენკო — 1.17,4 (60) თბილისი, „შრომითი რეზერვები“; ტ. ვეტერი — 1.18,4 (59) ჭიათურა, „განთიადი“; ი. პროსკურინა — 1.18,8; ლ. იმნაძე — 1.18,9 (60) თბილისი, „დინამო“; ე. შაგიდულოვა — 1.19,3; ზ. პროსკურინა — 1.19,5; დ. ზერმანი — 1.20,3 (61) ბათუმი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.17,2, 1973 წ. — 1.17,4.

200 მ. ზ. გოზალიანი — 2.33,4; ლ. სუინა — 2.35,4; ზ. ნათლიაშვილი — 2.41,8; ი. პროსკურინა — 2.43,1; ტ. ვეტერი — 2.44,7; ლ. იმნაძე — 2.45,1; ვ. გრიგორაშჩენკო — 2.46,2; ე. შაგიდულოვა — 2.49,7; ლ. ასლამაზოვა — 2.51,3; დ. ზერმანი — 2.51,3.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.45,4, 1973 წ. — 2.44,4.

კრავლმაცური. 200 მ. ლ. სუინა — 2.39,6; ტ. გამჯიაშვილი — 2.45,9; ე. შაგიდულოვა — 2.46,7; ზ. ნათლიაშვილი — 2.47,5; ზ. გამზინა — 2.49,1; ი. ნოვოსელოვა — 2.49,7; რ. მიქაძე — 2.51,3; ზ. გოზალიანი — 2.51,5; ნ. გელაძე — 2.52,2; ტ. ონეფრენჩუკი — 2.52,3 (60) ბათუმი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.51,8, 1973 წ. — 2.48,6.

400 მ. ლ. სუინა — 5.48,0; ტ. გამჯიაშვილი — 5.57,2; ვ. პროსკურინა — 6.01,5; ლ. იმნაძე — 6.01,8; ზ. გამზინა — 6.03,1; ლ. ნატროშვილი— 6.03,7; ე. შაგიდულოვა — 6.05,9; ზ. ნათლიაშვილი — 6.07,0; ლ. ასლამაზოვა — 6.11,9; ტ. ონეფრენჩუკი— 6.14,7.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 6.12,8, 1973 წ. — 6.03,5.

(დასასრული იქნება)

ნაბეღლარიდან სწორი ფეხით

ახმეტა

აქ დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. გოგონათა შორის ყველას აჯობებს სოფელ მატნის მოსწავლეებმა. შაბუკებში უძლიერესი იყო ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრები. შეჯიბრებას კარგად მოემსახურა თელავის მსაჯთა ბრიგადა.

ბ. ნონიაშვილი.

მრავლისმეტყველი ციფრები

1973 წელს მსოფლიო ჩემპიონატებზე 66-ჯერ შესრულდა სსრ კავშირის ჰიმნი და აფრიალდა წითელი ალამი საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებათა აღსანიშნავად. ამ ხნის მანძილზე 40 მსოფლიო პირველობა ჩატარდა. აქედან საბჭოთა სპორტსმენები 32 ასპარეზობაში მონაწილეობდნენ. 66 ოქროს მედლის გარდა, მათ 51 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს. ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს ხვდათ 22 ოქროს, 26 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს ჯილდო, გდრ-ის ათლეტებს— 22 ოქროს, 22 ვერცხლისა და 32 ბრინჯაოს მედალი.

1973 წელს გათამაშებული უმაღლესი ჯილდოების ნახევარზე მეტი — 129 მედალი — სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს დარჩათ.

საბჭოთა ნაკრების ოქროს მედლებიდან თითქმის ყოველი მესამე მოჭიდავეებზე მოდის. თეირანში მათ 20 ოქროს, 6 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი ხვდათ. 25 წლის თბილისელმა სტუდენტმა ლ. თედიაშვილმა ორგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა: ჯერ თავისუფალი სტილის მოჭიდაველთა შორის, მერე კი სამბისტთა შეჯიბრებაში, სადაც ავადმყოფი ამხანაგი შეცვალა.

მოჭიდავეებს ოდნავ ჩამორჩნენ მაიდარელთა და კანოელთა ნიჩბოსნობის ოსტატები, რომელთაც 17 ოქროს მედალი ხვდათ. ამ სახეობამ დაასახელა წლის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონები — ვოლგოგრადელი ო. კალიდოვი და კიმინიოველი ვ. სლობოდნიუკი. ეს 20 წლის სპორტსმენები ორადგილიანი კანოეთი ასპარეზობდნენ.

მსოფლიო ჩემპიონ ქალებს შორის ყველაზე ახალგაზრდები არიან 20 წლის ნოვგოროდელი სპორტსმენი ნ. გოპოვა (ერთადგილიანი ბაიდარეთით ნიჩბოსნობა) და ომსკელი გ. შუგუროვა (მხატვრული ტანვარჯიში).

სამჭოთა სპორტსმენებიდან მსოფლიო ჩემპიონობა ყველაზე მეტჯერ ჰოკეისტებმა მოიხვეჭეს. სსრ კავშირის ნაკრებმა 1973 წელს ეს წოდება მეთორმეტედ დაისაკუთრა.

მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეხუთედ მოიპოვა ფიგურული ციგურაობის მოსკოველმა ოსტატმა ი. როდნინამ. ესეც თავისებური რეკორდია.

შარშან ევროპის 31 ჩემპიონატი ჩატარდა. აქედან სსრ კავშირის წარგზავნილები 29 შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ და 84-ჯერ ავიდნენ პატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მათ მოიპოვეს 40 ვერცხლისა და 31 ბრინჯაოს შედალი. ხოლოვებული შედლების რიცხვით მეორე ადგილზე არიან გდრ-ის სპორტსმენები (17, 23, 31), მესამეზე — გფრ-ის წარმომადგენლები (12, 17, 16).

სპორტი ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგნოზები, პროგნოზები...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქი მაინის ფრანკფურტი 5 ივნვარს თავისებურ საფეხბურთო მექად იქცა. აქეთ ჰქონდათ მიპყრობილი მზერა ფეხბურთის „მლოცველებს“ ყველა ქვეყნიდან, აქ უნდა მომხდარიყო მსოფლიოს X ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა და 16 უძლიერესი გუნდი განაწილებულიყო 4 ჯგუფში.

კენჭისყრა მოხდა და გამოქვეყნდა თუ არა ჩისი შედეგები, როგორც ყოველთვის, საერთაშორისო სპორტული პრესა პროგნოზების ტალღამ მოიცვა. თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სპეციალისტები, მიმომხილველები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, არის დავა, კამათი, მტკიცებანი...

განსაკუთრებული აჟიოტაჟია დასავლეთ გერმანიაში და ეს გასაგებიცაა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს სწორედ დასავლეთგერმანელები მასპინძლობენ, ისინი უეჭველ ფავორიტთა შორის ითვლებიან და არც მალავენ, რომ 20 წლის „ანტრაქტის“ შემდეგ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელმეორედ მოიპოვონ უძლიერესის ტიტული (გერ 1954 წელს ფლობდა ოქროს ქალღმერთის თასს).

მასპინძლები აშკარად კმაყოფილი არიან კენჭისყრის შედეგებით. გაზეთი „ბინდანზინტაგი“ საკმაოდ არაორაზროვანი სათაურით „იღბალი გვქონია!“ აქვეყნებს რამდენიმე ინტერვიუს, მათ შორის აღსანიშნავია გერ-ის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდის უ. ზელერის სიტყვები: „უკეთესს ვერც ვინატრებდით. ჯგუფში პირველნი ვიქნებით“.

ჰამბურგის „ველკანზონტაგი“ ათავსებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჰ. შიონის განცხადებას: „ჩვენ იღბლიანი ჯგუფი შეგვხვდა და სრული შანსი გვაქვს გავიდეთ მეორე წრეში. ავსტრალიელებს ჯერ არ შესწევთ ძალა გვებრძოლონ, ჩილიელები კი საგრძნობლად ჩამოგვრჩებიან კლასით. ერთადერთი ღირსეული მეტოქეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები“.

I ჯგუფის საბოლოო ადგილებს აქ ასე განსაზღვრავენ: გფრ, გდრ, ჩილი, ავსტრალია.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ 16 ფინალისტს შორის ჯერ არაა გადაწყვეტილი იუგოსლავია — ესპანეთის საკითხი. ამ ორ პრეტენდენტს შორის უნდა შედგეს გადამწყვეტი, დამატებითი მატჩი და გამარჯვებული მოხვდება ფინალის II ჯგუფში ბრაზილიის, შოტლანდიისა და ზაირის გუნდებთან ერთად, ე. ი. არსებითად პროგნოზების გაკეთება აქ ნაადრევი საქმეა. ვფიქვათ, ზაირის ფეხბურთელთა საკითხი წინასწარ გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს — ბოლო ადგილი. დანარჩენები როგორ უნდა განაწილდნენ? თანაც ამ დანარჩენებს შორის ერთი საერთოდ უცნობია და ეს უცნობი მხოლოდ 13 თებერვალს გაირკვევა იმავე კენჭისყრის ადგილას — მაინის ფრანკფურტში.

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა მიუხედავად ასეთი გაურკვეველი სიტუაციისა, II ჯგუფის ფავორიტებად მიიჩნია ბრაზილია და იუგოსლავია. ეტყობა, მას გადაწყვეტილად მიაჩნია 13 თებერვლის მატჩის ბედი, თუმცა აველანჟი ასეთ კომენტარსაც უკეთებს თავის პროგნოზს: „თუ დამატებით მატჩს მოიგებენ ესპანელები, ყველამ მხედველობაში უნდა მიიღოს მათი ფეთქებადი ხასიათი და პოტენციური შესაძლებლობანი“.

ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონები არიან, ამიტომ ჟ. აველანჟს პროგნოზების გარდა თხოვეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა ნაკრების მზადების თაობაზე. აი, მისი პასუხი: „ჩვენი გუნდი ფაქტიურად 4 წელია ემზადება, მთავარმა მწვრთნელმა მ. ზაგალომ აჩვნის განმავლობაში 100-მდე ფეხბურთელი გასინჯა. 22 კანდიდატის საბოლოო სია მან 15 თებერვალს უნდა გამოაცხადოს. სამზადისის ბოლო ეტაპს 4 მარტს ვიწყებთ. საკონტროლო მატჩებს ჩავატარებთ მექსიკის, პარაგვაის, პერუს, ავსტრიის, რუმინეთის, ირლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდებთან, შემდეგ 15 მაისს ჩავალთ ევროპაში და დავბინავდებით შვარცვალდში, სადაც ვივარჯიშებთ და დავისვენებთ კიდეც“.

ტრადიციულ კითხვაზე, დაუბრუნდება თუ არა პელე ნაკრებს, ჟ. აველანჟმა უპასუხა: „ამას უცდის მთელი ბრაზილია. მას უკვე გავუგზავნე ოფიციალური მიწვევა. პელე ესაჭიროება ბრაზილიას, მას ვერავინ შეცვლის“.

ასე, კვლავ წამოტივტივდა პელეს პრობლემა, თუმცა ადრე არაერთხელ გამოქვეყნდა ცნობა, რომ „ფეხბურთის მეფე“ საბოლოოდ გამოეთხოვა ნაკრებს.

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტის ანრს იუგოსლავიელ-ესპანეთის მატჩის თაობაზე იზიარებს სპეციალისტთა უმეტესობა. პარადოქსალურია, მაგრამ მათ რიცხვშია ესპანეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე ბ. პაიაც. ერთ-ერთ გაზეთში მან განაცხადა, რომ 13 თებერვლის მატჩში იუგოსლავიელებს მეტი შანსი გააჩნიათ.

ყველაზე თანაბარი და ამიტომ ძნელი შემადგენლობის, მიმომხილველთა საერთო შეხედულებით, III ჯგუფია: ურუგვაი, ჰოლანდია, ბულგარეთი, შვეცია. მოდი და გაარკვიე ვინ გავა აქ პირველ ადგილზე და ვინ — მეოთხეზე. ძნელზე ძნელი საქმეა, მით უმეტეს, რომ 4 გუნდიდან მხოლოდ ერთია სამხრეთ ამერიკიდან, დანარჩენი 3 კი — ევროპიდან.

ჰოლანდიური ფეხბურთი ამსტერდამის „აიაქსის“ ბრწყინვალე წარმატებათა შედეგად ახლა საყოველთაო ფავორშია, ამიტომ ჟურნალისტებმა პროგნოზისთვის პირველ ყოვლისა ჰოლანდიელებს მიმართეს, კერძოდ, ნაკრების მწვრთნელს ფადრონჩს. მან ასეთი პასუხი გასცა:

„სადავო არავისა აქვს, რომ ბულგარეთს ძლიერი ეროვნული ნაკრები ყავს და ამაში მეც არაერთხელ დავრწმუნებულვარ. შვედებსაც არა ჰყავთ მოთამაშეთა ურიგო არჩევანი: კინდვალი, ნორდვიისტი, ედსტრემი და სხვანი. ურუგვაელები, როგორც წესი, ძლიერად, თავგანწირვით თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონატებში. მიუხედავად ამისა, სრული დარწმუნებული ვარ ჰოლანდიის ნაკრები წარმატებით გაართმევს თავს ბრძოლას ჯგუფში და გათამაშების შემდგომ წრეში გავა“.

ასე ფიქრობს ჰოლანდიელთა მწვრთნელი, მაგრამ ჰკითხეთ ურუგვაელებსაც? ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად დანიშნა 60 წლის რ. პორტა, წარსულში ურუგვაის, არგენტინისა და იტალიის სხვადასხვა კლუბის მოთამაშე, შემდგომში კი მწვრთნელი. მონტევიდეოში დიდი იმედი აქვთ ნაკრების ახალი ხელმძღვანელის ცოდნის და გამოცდილებისა, თვით რ. პორტა კი ასეთი განცხადებით გამოვიდა პრესაში: „III ჯგუფში 3 გუნდი ევროპულია, აქედან გამომდინარე ჩვენს მზადებასაც გარკვეული „ევროპული“ ორიენტაცია უნდა მიეცეს. საამისოდ მოგვიხდება საკონტროლო მატჩების სერიის ჩატარება ამ კონტინენტზე, განსაკუთრებით შინდა შევხვდეთ იტალიისა და პოლონეთის გუნდებს. საერთაშორისო ასოციაციის ურუგვაელებს იოლი არა გვაქვს, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლისა გვწამს დაჯერებულად“.

ჩვენს ხელთ არაა ბულგარეთისა და შვეიცის წარმომადგენელთა პროგნოზები, მაგრამ ერთნიც და მეორენიც ასევე დაჯერებული არიან მერვედფინალში გასვლაზე და საბოლოოდ III ჯგუფში ადგილების განაწილებას პროგნოზებში შეხვდებით ყოველგვარ ვარიანტში. პრიორიტეტის მინიჭება ვინმესთვის აქ მართლაც ძნელია. ჟ. აველანჟს, მაგალითად, მიაჩნია, რომ პირველ 2 ადგილზე გავლენ ურუგვაი და ჰოლანდია, სხვები — სხვა აზრისა არიან.

დარჩა IV ჯგუფი და აქაც დიდი სხვადასხვაობაა პროგნოზებში. ერთში ყველა თანხმდება, რომ ჰაიტი ვერ გაუძლებს კონკურენციას გამოცდილ მეტოქეთა მხრივ. ეს ასეცაა, მაგრამ როგორ გინდათ გაანაწილოთ იტალია, არგენტინა და ჰოლონეთი? იმავე თანმიმდევრობით, როგორც აქაა ჩამოთვლილი? ასე იქცევა პროგნოზისტთა უმრავლესობა, მაგრამ ყველა მაშინვე დასძენს, რომ ჰოლონელებს ძალა შესწევთ რომელიც გნებავთ წინასწარმეტყველება გადააყირავონ თავდაღმა. ამის ნათელი მაგალითი ყველას თვალწინ აქვს ევროპის V შესარჩევი ჯგუფიდან, როცა ჰოლონეთის ნაკრებმა გზა გადაუკეტა ფინალისკენ ინგლისის ძლიერ გუნდს. რა გარანტიაა, რომ ლიუბანსკი და მისი პარტნიორები ასევე არ მოექცევიან იტალიელებს და არგენტინელებს?

ჯერჯერობით კი პროგნოზების ახალ-ახალი ნაკადები იპყრობს უცხოეთის სპორტულ პრესას.

ლ. ხუციშვილი.



„ᲣᲘᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ“. კ. ოლეპი (პოლონეთი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲐᲗ

ამერიკელმა ჟოკეიმ ტომ კარაბუშოვსკიმ გადაწყვიტა თავისი საკმაოდ ძნელად გამოსათქმელი გვარი ასლით შეეცვალა — ახლა მისი გვარია ჰორსშუ, რაც ჩვენს ენაზე ნალს ნიშნავს. მას შემდეგ ჟოკეი ოთხმა სხვადასხვა ცხენმა კარგა გვარიანად დაწილა, თუმცა ასეთი რამ მას მანამდე არ შემთხვევია. ტომი საგონებელშია ჩავარდნილი, ვაითუ ცხენებს ჩემი ახალი გვარი არ მოწონათო. მართლაც, ნალს ყველა ცხენი როდი ეგუება იოლად.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

შარშანდელი წლის მიწურულს მეხიკოში ჩატარდა მყვინთავთა შეჯიბრება, სადაც გამარჯვება ვინმე რაულ სანჩისს დარჩა. მეორე დღეს გაზეთები სავსე იყო მისი სურათებით, როცლებაც შესაბამისი ტექსტიც ახლდა. მაგრამ ამ ჩვეულებრივ რეკლამას მოჰყვა შედეგი, რომელსაც სანჩისი არ მოელოდა: პოლიციამ ამ სურათებზე ორი წლის წინათ ციხიდან გაქცეული ბოროტმოქმედი იცნო. რა თქმა უნდა, ამჯერად სანჩისის მეორედ დაპატიმრება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲭᲕᲘᲐᲗ

კანადელმა პროფესიონალმა ჰოკეისტმა პიტერ ბეტკროფტმა პირველ და მეორე პერიოდებს შორის შესვენებისას ჯვარი დაიწერა, მეორე და მესამე პერიოდებს შორის შესვენება გამოიყენა საქორწინო სუფრისთვის, ხოლო თამაშის დამთავრებისას — ისევ ჰოკეისტის აღტაცებით თვითმფრინავში ჩაჯდა და... საქორწილო მგზავრობა დაიწყო.

ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲠᲓᲔᲑᲐ

გასული ათწლეულის ცნობილი ფრანგი მძღოლისანი, საშუალო და სტაიერულ დისტანციებზე ბორბენალი ალენ მიმუნი ამას წინათ საპატიო სტუმრად მიიწვიეს ხენმექსანის სპორტული სკოლის მიერ გამართულ შეჯიბრებაზე. მაგრამ ო, საკვირველებავ! — მიმუნმა მიწვევა თავისებურად გაიგო და ქალაქის მერთან საზეიმო მიღებაზე მისვლის ნაცვლად... სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი შეჯიბრების სტარტზე გამოცხადდა.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ახლოვდება 1974 წლის საფეხბურთო სეზონი. უმაღლესი ლიგის გუნდები საკმაო ხანია შეუდგნენ მზადებას მომავალი შეჯიბრებებისთვის, შავი ზღვის სანაპირო სტადიონებზე უკვე გაიმართა პირველი საწვრთნელი მატჩები, გატანილია პირველი გოლები.

ფეხბურთის მოყვარულებს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ თუ რა ხდება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდებში, რა ცვლილებები მოხდა მათში. ცნობებს, რომლებსაც მივიღებთ, გამოვაქვეყნებთ ჩვენს გაზეთში.

სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი — ერევნის „არარატი“, როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა განაცხადა, ვარჯიშს. შეუდგა ადრინდელზე გაცილებით უფრო ადრე, 20 დეკემბერს. კოლექტივში პრაქტიკულად ცვლილებები არაა, იგი არავის დაუტოვებია, მიღებულია მხოლოდ რამდენიმე ახალი მოთამაშე ადგილობრივი ჭაბუკთა გუნდებიდან. „არარატი“ ახლა სოჭშია, თებერვლის დამდეგს კი გაემგზავრება ლიბანს რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად.

კიევის დინამოელებს, როგორც ცნობილია, ჰყავთ ახალი უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი და გუნდის უფროსი ო. მაზილევიჩი, რომლებიც 10 წლის წინ თამაშობდნენ ამ კოლექტივში.

გუნდში არის მნიშვნელოვანი ცვლილებები. წავიდნენ ვ. სოსნიხინი, ა. ბიშოვეცი, ა. პუშაჩი (ეს უკანასკნელი ახლა დუბლიორებთან მუშაობს). კიეველთა რიგებს შეემატნენ მცველი რ. აშიბეკოვი ნალჩიკიდან, ნახევარმცველი ვ. მასლოვი— დნეპროპეტროვსკიდან, თავდამსხმელი ვ. ონიშჩენკო — ვოროშილოვგრადიდან.

იანვრის დასასრულს კიეველები შეკრებაზე გაემგზავრებიან გაგრას, იქვე ჩაატარებენ საწვრთნელ მატჩებს.

თბილისის „დინამო“ ამთავრებს წინასასეზონო წვრთნას ბაკურიანში. უფროს მწვრთნელ გ. ჩოხელთან ერთად ფეხბურთელებს ავარჯიშებს გუნდის ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, ძასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-61, კორექტორები — 93-97-49.